ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

Social Umbrella

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მონიტორინგის ანგარიში:

კახეთის რეგიონში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან

2023 წელი

პროექტის განმახორციელებელი გუნდი:
ნათია მექვაბაური
სოფიკო გოგოჩაშვილი
არჩილ მჭედლიშვილი
სალომე განეთიშვილი

მოწვეული ექსპერტები:
სოფიო იდაძე
თეა ტყემალაძე
მანანა გაბუნია

პროექტის მენტორი:
ლია თოდუა

ეს პუბლიკაცია შექმნილია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ასოციაცია „სოციალური ქოლგა" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სარჩევი:

1. *პროექტის მიზანი* ---------- *გვ 4*
2. *პროექტის მიმდინარეობის ეტაპები* ---------- *გვ 4*
3. *თვისებრივი კვლევა* ---------- *გვ 12*
4. *თვისებრივი კვლევის შედეგები* ---------- *გვ 14*
5. *პროფესიული განათლების წინაშე მდგარი გამოწვევები კვლევის შედეგების მიხედვით* ---------- *გვ 27*
6. *რეკომენდაციები /გამოწვევების დაძლევის გზები* ---------- *გვ 30*
7. *დასკვნა* - ---------- *გვ 34*

1. **პროექტის მიზანი**

პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" **მიზანი**ა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი პრიორიტეტული პუნქტის - პროფესიული განათლების სფეროში ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესება.

2. **პროექტის მიმდინარეობის ძირითადი ეტაპები:**

- სამაგიდო კვლევის ჩატარება არსებული სიტუაციისა და ტენდენციების შესწავლის მიზნით;
- საკვლევი ინსტრუმენტების შექმნა, თვისობრივი კვლევის ჩატარება და ანგარიშის მომზადება;
- მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება და ანგარიშს მომზადება პროფესიული განათლების შესახებ რეგიონულ დონეზე;
- ადვოკატირების კამპანიის შემუშავება და ჩატარება.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა : „პროფესიული განათლება - პერსპექტივები კახეთის რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით."

სამაგიდე კვლევის მიხედვით - „პროფესიული განათლება პიროვნებას აძლევს რა შესაძლებლობას, მიიღოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა და შესაბამისი კვალიფიკაცია რომელიმე კონკრეტული დაწესებულებისგან, ამავდროულად აღჭურვავს მას იმ უნარებით, რომელიც შესაბამისობაშია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს სამუშაოს პოვნასა თუ კარიერულ განვითარებაში. სწორედ აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფოსთვის, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას, გადაჭრას დასაქმების პრობლემები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეებზე.

საქართველო ისწრაფვის რა, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, უკვე ათ წელზე მეტია ახორციელებს რეფორმას[1] პროფესიული განათლების სფეროში და ხელს უწყობს ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება, სოციალური ინკლუზია, მთელი ცხოვრების მანძილზე ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარება. ამასთანავე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა კვალიფიციური კადრის მომზადება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც პირველ რიგში, სახელმწიფოებრივ კეთილდღეობაზე აისახება.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ განმარტავს, რომ პროფესიული განათლება - ეს არის „განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ“.[2] სწორედ აღნიშნული კანონი უნდა ჩაითვალოს პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შენაძენად ქართულ რეალობაში. იგი 2018 წელს იქნა მიღებული და დაარეგულირა პროფესიული განათლების სისტემის ფუნდამენტური საკითხები, რა დროსაც დაეფუძნა როგორც პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წლების სტრატეგიას, ასევე, განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას 2017-2021 წლებისთვის.

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში საქართველომ შეძლო მიეღწია ისეთი წარმატებებისა და ძვრებისთვის, როგორებიცაა: ეროვნული პროფესიული და დარგობრივი საბჭოების რეფორმირება, მათი შესაძლებლობების განვითარება, კერძო სექტორის ჩართულობის ზრდა პროფესიულ განათლებასა და სწავლებაში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარება, ახალი კანონის მიღება პროფესიული განათლების შესახებ და თანმდევი საკანონმდებლო

[1] პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020

[2] საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, მუხლი 3. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=6

ბაზის გაუმჯობესება, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს განახლება და ახალი სახით დამტკიცება, ავტორიზაციის სტანდარტების განახლება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მოდულურ პროგრამებზე გადასვლა, ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრირება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მხარდაჭერა, არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის შექმნა და ამოქმედება, მოკლევადიანი - მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება/ამოქმედება, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისების დანერგვა და განხორციელება, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და რეპუტაციული ზრდა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება, ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება, პროფესიულ განათლებაში კრედიტების სისტემის შემუშავება; სსსმ პირების პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და ა.შ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანა არ წყვეტს ზრუნვას პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის და ამ მიზნით, 2021 წელს საზოგადოებას წარედგინა ახალი ინსტიტუცია „პროფესიული უნარების სააგენტო“, რომელიც დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ. უნარების სააგენტო ერთდროულად წარმოადგენს როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ისე კერძო სექტორის ინტერესების გამტარებელ ინსტიტუციას, ვინაიდან მის დაფუძნებაში სავაჭრო-სამრეწველო პალატა მონაწილეობდა. შესაბამისად, პროფესიული განათლება გახდება მეტად ორიენტირებული დასაქმების ბაზრის საჭიროებებზე და შეძლებს მოამზადოს შესაბამისი უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კადრები.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, კვლავ რჩება გამოწვევები პროფესიული განათლების სფეროში, რომელსაც საქართველომ უნდა უპასუხოს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის დაძლევასა და ძლიერი დასაქმების ბაზრის

შექმნას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, შემოწმდეს უკვე განხორციელებული აქტივობები და მათი შედეგები, რათა გამოვლინდეს არა მხოლოდ ძლიერი, არამედ სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეებიც და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები. 2021 წლის ბოლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაქვეყნა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსია[3], რომელიც ითვალისწინებს რა განვლილ პერიოდს, ეხმიანება თანამედროვე გამოწვევებს და გეგმავს ახალი მიზნების მიღწევას. დოკუმენტი ღიაა დაინტერესებული პირებისთვის შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით.

მართალია, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა და ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება სწორედ ამ პერიოდიდან დაეკისრა, თუმცა, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი პროფესიული განათლების რეფორმა მეტწილად უკვე შესაბამისობაში იყო შეთანხმების მოთხოვნებთან.

ასოცირების ხელშეკრულება (მუხლი 359 (VI კარი) და დანართი XXXII) პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს ვალდებულებებს აკისრებს შემდეგ დოკუმენტებთან მიმართებით: „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/02)“[4] და „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დამოწმების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/01)“.[5] გარდა ამისა, ასოცირების ხელშეკრულების 229-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკისრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „ადამიანური რესურსების განვითარების

[3] პროფესიული განათლების სტრატეგია 2030, სამუშაო ვერსია

[4] „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/02)

[5] „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დამოწმების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/01)“)

სფეროში პროფესიული ორიენტაციის და პროფესიული მომზადების შესახებ“ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ხელმომწერ ქვეყნებს განუსაზღვრავენ, რომ მათში გაწერილი ვალდებულებების შესრულება სასურველია/სავალდებულოა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ ინსტიტუციურ დონეზე, თავად პროფესიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვისაც, მათ შორის:

- ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შესაბამისად, ქვეყანაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარება შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და მექანიზმების სახით, რაც ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლებასა და პროფესიული განათლების სერვისით მოსარგებლე პირების მობილობას. მექანიზმები უნდა იყოს გაწერილი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების სასურველი ციკლის შესაბამისად. აღნიშნული ჩარჩო უნდა მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში, მათ შორის კვალიფიკაციის მინიჭებისას. ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს როგორც გარე, ისე შიდა აქტორების ჩართულობასა და მათ შეფასებას სისტემის განვითარებისთვის. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს არსებობა დაეხმარება ხელმომწერ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების კონცეფციას და ასევე, იზრუნონ პროფესიული განათლების კრედიტთა ევროპული სისტემის დანერგვაზე[6].

[6] „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/02)

- პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების ტრანსფერის სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECVET) მოთხოვნებთან და ხელს შეუწყობს პიროვნების მიერ მიღებული განათლების დადასტურებას კვალიფიკაციის სახით და ასევე, დაეხმარება მათ საერთაშორისო თუ ადგილობრივ მობილობაში[7].
- პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება და სრულყოფა, რაც უპირატესად დაკავშირებულია დასაქმებასთან და ხორციელდება შესაბამისი დაწესებულებების მიერ[8].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად სახელმწიფო დონეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, მათ შორის, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს განახლება; პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მექანიზმების ინტეგრირება ავტორიზაციის სტანდარტებში და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ ავტორიზაციის სტანდარტებში აქცენტირება და ა.შ.

2013 წელს მომზადდა და ამოქმედდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტი 2013-2020 წლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი დაეყრდნო რა წარსულ გამოცდილებას, სიტუაციური ანალიზისა და ევროპული სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინებით, განსაზღვრა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელთა შორისაც აქცენტები კეთდებოდა: პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილებასა და სრულყოფაზე; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სისტემის განვითარებაზე; კვალიფიკაციათა სისტემის გამართულობაზე; კრედიტების დაგროვების ისეთი

[7] „2009 წლის 18 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დამოწმების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ (2009/C 155/01)“

[8] „ადამიანური რესურსების განვითარების სფეროში პროფესიული ორიენტაციის და პროფესიული მომზადების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია

სისტემის შექმნაზე, რომელიც აღმოფხვრიდა ე.წ. საგანმანათლებლო „ჩიხებს“ განათლების სხვადასხვა საფეხურზე და საშუალებას მისცემდა პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს სწავლა გაეგრძელებინა უმაღლესი განათლების საფეხურზე; საერთაშორისო მობილურობის ხელშეწყობაზე; კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესებაზე; პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სტრატეგიული მიზნები უმეტესწილად შესაბამისობაში მოდის პროფესიული განათლების მიმართულებით ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან, მაგრამ განმსაზღვრელია ის, თუ რამდენად რეალურად შესრულდა თითოეული სტრატეგიული მიზანი და მის მისაღწევად ფორმირებული ამოცანები. 2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, სადაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქნა განხილული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურები. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებისას დაეფუძნა პროფესიული განათლების ერთიან სტრატეგიას. მასში გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და 2013 წლის პროფესიული განათლების რეფორმის დანერგვისას არსებული გამოწვევების შესაბამისად, განსაზღვრულია შესაბამისი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის შემდგომ სახელმწიფომ არა ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა, მაინც რჩებოდა საკითხები, რომელთა გაუმჯობესება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო სისტემის მდგრადობისთვის და რომელთა შესრულება რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში სრულყოფილად ვერ მოესწრო. მართალია, გარკვეულწილად დაიხვეწა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა საჭირო იყო ახალი, კომპლექსური და სისტემური მიდგომა, რაც დაუკავშირდებოდა ახალ ჩარჩოს; ასევე, ჯერ კიდევ პრობლემური იყო კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა; კერძო სექტორის მონაწილეობა პროფესიული განათლების განვითარების პროცესში რჩებოდა მინიმალური; შეზღუდული იყო განათლების მიღების შესაძლებლობები ზრდასრულებისთვის და ასევე არ არსებობდა/გაუმართავი იყო არაფორმალური

განათლების მიღების სისტემა, რაც ხელს უშლიდა მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპს; გაუმართავი იყო კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა და ა.შ. აქედან გამომდინარე, დოკუმენტმა სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება დაუკავშირა სწორედ ზემოაღნიშნულ გამოწვევებსა და ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს და განსაზღვრა, რომ 2017-2021 წლებში სისტემა ორიენტირებული იქნებოდა ინტერნაციონალიზაციაზე; მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე; არაფორმალური აღიარების სისტემის ჩამოყალიბებაზე და ა.შ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ პერიოდში მართლაც შეიცვალა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო: მიღებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და ცვლილებები შევიდა ავტორიზაციის დებულებაში; შეიცვალა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, ახალი დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დოკუმენტთან; შემუშავდა მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სტანდარტები, არაფორმალური განათლების აღიარებისა და დადასტურების პროცედურები; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გადამუშავდა ისე, რომ ყველა მოდულურ პროგრამაში თითოეულ სასწავლო მოდულსა და შედეგს აქვს მინიჭებული შესაბამისი კრედიტების რაოდენობა ECVET სისტემის შესაბამისად და ა.შ. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, თითოეული ზემოთაღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯი ჯერ კიდევ ახალია და საჭიროებს გაუმჯობესებას დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად. 2021 წლის ბოლოს გამოქვეყნდა პროფესიული განათლების სტრატეგიისა და განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის დოკუმენტების სამუშაო ვერსიები, რომელთაც სრულად გაითვალისწინეს რა განვლილი პროგრესი, რისკები და გამოწვევები, აქცენტი კვლავ გააკეთეს ისეთი მიმართულებების განვითარებაზე, როგორებიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება/განვითარება; მთელი

ცხოვრების მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების განვითარება; „ერასმუს + თან„ პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერება; ახალი პროფესიული კვალიფიკაციებისა და პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი ქსელის მეშვეობით პროგრამების ხელმისაწვდომობა ყველასთვის თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მიმართულებით ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება - პროფესიული განათლების ევროპული სტანდარტის (EQAVET) შესაბამისი ახალი სტანდარტის სრული დაცვით მოქმედი პროფესიული სასწავლებლები; განათლების სხვადასხვა საფეხურს შორის კავშირების გაძლიერება და ა.შ. მომდევნო ათწლეულისთვის განსაზღვრული ეს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან, თუმცა, საინტერესოა, რამდენად არის მზად ქართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ფეხი აუწყოს მოცემული მიზნების განხორციელებას, რომ მსგავსად პროფესიული განათლების რეფორმისა, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ არ დარჩეს გადაულახავი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ჩაითვალა შემოწმებულიყო, თუ რეალურად როგორ ინერგება და ხორციელდება აღნიშნული განაცხადები პრაქტიკაში და რა შედეგები მოჰყვება მათ განხორციელებას. ამ მიზნით, სამაგიდო კვლევის შემდეგ, დაიგეგმა თვისებრივი კვლევის ჩატარება.

3. თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა ჩატარდა 2022 წლის ივნისი - ივლისი - აგვისტოს თვეში,

თვისებრივი კვლევის მიზანი იყო კახეთი რეგიონში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისობა 2021 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ პროფესიული განათლების სტრატეგიასთან და შრომის ბაზრის

მოთხოვნებთან - ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

კვლევის სამიზნე აუდიტორია იყო ყველა ის დაინტერესებული მხარე, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს პროფესიულ განათლებაში.

კვლევის მეთოდოლოგია: ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა :

- კახეთის რეგიონში არსებული, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორი ძირითადი კოლეჯის - პროფესიული კოლეჯი „აისისა“ და „პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის“ და მათი ფილიალების, ასევე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანამშრომლებთან;
- ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. მათგან სამი იყო საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი შვიდი მცირე ბიზნესის წარმომადგენელი;
- კახეთის რეგიონის იმ ხუთი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, რომელთა ტერიტორიულ ერთეულშიც არის პროფესიული კოლეჯი, ან კოლეჯის ფილიალი;
- ერთი ინტერვიუ ჩატარდა კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან;
- ასევე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები კოლეჯი „აისისა“ და მისი ოთხი ფილიალის - კაჭრეთის, დედოფლისწყაროს, ალვანისა და ლაგოდეხის ფილიალების, კოლეჯი „პრესტიჟისა“ და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმომადგენლებთან, როგორც თანამშრომლებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან;

ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების დროს ყურადღება იქნა გამახვილებული ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- რა სახის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არსებობს დაწესებულების შიგნით;
- სარგებლობენ თუ არა პროფესიული განათლების კრედიტების სისტემით მობილობის პროცესის განხორციელებისას;
- რა სახით, ფორმითა და ინტენსივობით არის უზრუნველყოფილი დამსაქმებლების ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში;
- ახორციელებენ თუ არა მოკლევადიან პროგრამებს;
- როგორ ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული გადამზადება და განვითარება;
- როგორია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- მონაწილეობს თუ არა დაწესებულება საერთაშორისო პროექტებში;
- აქვს თუ არა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი;
- აქვს თუ არა არაფორმალური განათლების აღიარების ინსტრუმენტები/მექანიზმები, გასწევს თუ არა აღნიშნულ მომსახურებას;
- იღებს თუ არა დამსაქმებელი შესაბამისი უნარებით აღჭურვილ კადრს;
- როგორ ეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობა პროფესიული განათლების სფეროს განვითარებაში.

4. თვისებრივი კვლევის შედეგები:

კვლევის ზოგადი ტენდენციებისა და მისი შედეგების გაცნობის შემდგომ გაკეთდა ანალიზი, თუ კახეთის რეგიონში პროფესიული განათლების სისტემა რამდენად იყო

შესაბამისობაში ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

წინამდებარე მსჯელობაში დაფიქსირებულია საკვანძო საკითხებზე კვლევის მონაწილე სხვადასხვა მხარისაგან მიღებული ინფორმაცია და მოტანილია ჩანაწერები სტრატეგიის დოკუმენტიდან, გაკეთებულია დასკვნები, გამოვლენილია დადებითი ტენდენციები და ის გამოწვევები, რომელთა დაძლევაც ხელს შეუწყობს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

- **შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასთან დაკავშირებით**

პროფესიული კოლეჯების წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით კოლეჯი არის იდეალურ მდგომარეობაში, აღჭურვილია და ყველანაირ პირობას აკმაყოფილებს იმისთვის, რომ სტუდენტმა, მათ შორის სსსმ და შშმ პირებმა შეძლონ პროფესიული განათლების მიღება.

ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ - კოლეჯები ადაპტირებულია იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანებს მოემსახუროს.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან დაკავშირებით ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს:

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი მმართველობის მოდელის დანერგვისათვის ინფრასტრუქტურული განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ორგანიზაციული, ადამიანური და ფინანსური განვითარების გვერდით.

ასევე, სტრატეგიის ერთ-ერთ ქვეთავში: „1.4 პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობა - ხარისხი და შესაბამისობა“, საუბარია ტექნიკური აღჭურვილობის მინიმალურ სტანდარტებზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) უზრუნველყოფს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვას და ამ პროცესს ასევე მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

- **კვლევის შედეგები პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით** *:*

პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას საქართველოში **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების** წარმომადგენლები დადებითად აფასებენ. წარმომადგენელთა ინტერვიუებით ირკვევა, რომ კურსების უმეტესობა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. შესაძლოა მსურველმა არჩევანი გააკეთოს მოდულურ, დუალურ და მოკლევადიან კურსებს შორის, არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა, თითქმის ყველა რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტშია შესაძლებელი პროფესიული განათლების მიღება. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ შენობები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, ხოლო პროგრამები სსსმ სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ყველანაირი პროფესიული ლიტერატურა, რათა სტუდენტებს ამ მიმართულებით არ ჰქონდეთ ზედმეტი ხარჯი.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აზრით კოლეჯში ჩაბარების მოტივაციად დასახელდა პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები და სამომავლოდ დასაქმებისა და საკუთარი ბიზნესის წარმოების შესაძლებლობა.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს:

პროფესიული განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასაკის, სქესის, სოციალური წარმომავლობის, რელიგიის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის, პოლიტიკური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. ყველას უნდა ჰქონდეს სწავლის, დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობა.

- **კვლევის შედეგების ანალიზში დუალური სწავლებისა და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსების შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უმრავლესობას აქვს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები, რომლითაც ძირითადად დასაქმებული და გარკვეულ სფეროში მომუშავე ადამიანები სარგებლობენ. კურსებზე დაკვეთა სწორედ დამსაქმებლებისგან მოდის, რომლებსაც კონკრეტული მიმართულებით ჭირდებათ თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ბიზნესის წარმომადგენელთა ნაწილმა გამოკითხვის დროს დააფიქსირა, რომ აქტიურად თანამშრომლობენ პროფესიულ კოლეჯებთან დუალური პროგრამების ფარგლებში. ამ მიმართულებით დადებითი გამოცდილება აქვს ორ კომპანიას, რომლებიც დღემდე არიან ჩართული დუალურ პროგრამებში, თუმცა გარკვეული ტიპის ხარვეზებზე ისინიც საუბრობენ. ამ კომპანიების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის დადებით მხარეს, როგორიც არის მომზადებული კადრი, სტაჟირებისა და სტაჟირების შემდეგ კადრის კომპანიაში დარჩენის შესაძლებლობა, რაც კომპანიის მხრიდან მთავარ მოტივატორად განიხილება.

ბიზნეს სუბიექტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მომავალშიც სიამოვნებით გააგრძელებდა ამ მიმართულებით კოლეჯებთან თანამშრომლობას და საკუთარ კომპანიაში დასაქმებული კადრის მომზადებასაც შეუწყობდა ხელს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ინტერვიუებიდან იკვეთება დადებითი დამოკიდებულება მოკლევადიანი და მომზადება-გადამზადების კურსების მიმართ. ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამგვარ კურსებზე დაკვეთა სასურველია

მოდიოდეს თავად დამსაქმებლისგან, რადგან მათი კადრის შესაბამისი მომზადება მოხდეს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოკლევადიანი კურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების მხრივაც.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში დუალური სწავლებასა და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსებთან დაკავშირებით ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს:

სახელმწიფო აფინანსებს ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამებს, რომლებიც გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, შეიძლება განახორციელოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს.

მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების გავლის შემდეგ გაიცემა სახელმწიფო სერთიფიკატი. საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიცირებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, მომზადება-გადამზადების პროგრამების მიწოდების შესაძლებლობა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, მიეცა ნებისმიერ იურიდიულ პირს, მათ შორის კერძო კომპანიას, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს.

კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2019) ითვალისწინებს როგორც კერძო სექტორის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას პროფესიული განათლების სფეროში. დაწესებულებების დონეზე იზრდება კერძო სექტორის ჩართულობა სამუშაოზე დაფუძნებული და დუალური ტიპის სწავლებაში.

- **კვლევის შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო ჩიხის შესახებ:**

კვლევის ანალიზში ჩანს, რომ **პროფესიული კოლეჯის მხრიდან** ხაზი გაესვა პროფესიული განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილების უპირატესობებს.

კოლეჯის წარმომადგენლების ხედვით კანონმა ბევრი რამ შეცვალა, აღმოიფხვრა ჩიხი. კანონმა მოგვცა საშუალება, რომ მე-4 დონის პროგრამის დახურვის შემდეგ, სტუდენტმა პროფესიულ დიპლომთან ერთად აიღოს საშუალო განათლების დასრულების დამადასტურებელი ატესტატი.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ კანონში შესულ ცვლილებას. ისინი აღნიშნავენ, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის აღარ იარსებებს საგანმანათლებლო ჩიხი, რომელიც მათ უზღუდავდა უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში საგანმანათლებლო ჩიხთან დაკავშირებით ვხვდებით ჩანაწერებს: "პროფესიული განათლების შესახებ" ახალი კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა პროფესიული განათლების და ზოგადი განათლების ინტეგრირებაა. ეს ინიციატივა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიულ განათლებაში ჩართულობის გაზრდას, რადგან შემცირდება პროფესიულ განათლებასა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ჩარიცხვას შორის კონკურენცია 15-18 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

- **თვისებრივი კვლევის შედეგები არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ**

არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ, კვლევაში მონაწილე **პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების** აზრით მნიშვნელოვანი დადებით ცვლილებაა ის, რომ მოკლევადიანი პროგრამების დამთავრების შემდეგ სტუდენტები იღებენ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სერთიფიკატს. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ქონიათ კვალიფიკაციის აღიარების პრეცენდენტი, ისიც მოწვეული ექსპერტის დახმარებით და თვლიან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც გარკვეული საქმის მცოდნე პირი შეძლებს საკუთარი არაფორმალური განათლების აღიარებას და მიიღებს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ:

არაფორმალური განათლების აღიარება (VNFIL) მნიშვნელოვანი მექანიზმია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით; უკვე მომზადებულია არაფორმალური განათლების აღიარების საკანონმდებლო საფუძველი, მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები. სტრატეგიის ფარგლებში აქცენტი გაკეთდება არაფორმალური განათლების აღიარების უზრუნველყოფაზე, რაც მსურველებს შესაძლებლობას აძლევს დაადასტურონ საკუთარი კომპეტენციები და შეძლონ სისტემაში შესვლა. მთლიანობაში, ეს სისტემა გააუმჯობესებს ზრდასრულთა განათლებაზე ხელმისაწვდომობას საქართველოში.

- **თვისებრივი კვლევის შედეგები პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ:**

კოლეჯის წარმომადგენლები მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული გადამზადების შესახებ აღნიშნავენ, რომ მუდმივად ტარდება ტრენინგები, რომელიც ხელმისაწვდომია პსდ-ს ყველა პედაგოგისთვის. ტრენინგი შეიძლება ტარდებოდეს განათლების სამინისტროს ან მასწავლებელთა სახლის ორგანიზებით. მასწავლებელთა გადამზადება არ შეწყვეტილა პანდემიის პერიოდშიც კი.

კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოდულურიდან დუალურ სწავლებაზე გადასვლას მოჰყვა საკმაო გამოწვევები და ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა ინტენსიური გადამზადება და მხარდაჭერა.

გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მასწავლებლები მონაწილეობენ საერთაშორის პროექტებში, განსაკუთრებით პანდემიამდე იყო გაცვლითი ვიზიტები ევროპის ქვეყნებში და ასევე იგეგმებოდა ერთობლივი პროექტები უცხოელ კოლეგებთან.

კოლეჯების ნაწილი უკვე ჩართულია, ნაწილი კი ახლა ემზადება ერასმუს + პროგრამებში ჩასართავად, რაც ასევე სტუდენტთა და თანამშრომელთა ურთიერთგაცვლას გულისხმობს.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში პროფესიული მასწავლებლის მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ ვკითხულობთ:

პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს. პრიორიტეტულია "პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოქნილი სისტემის" ფორმირება, რომელიც დაეფუძნება მსოფლიო ბანკის პროექტის "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" ფარგლებში თანამშრომლობით შემუშავებულ შესაბამის მოდელს (2021). პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის მოდელს საფუძვლად უდევს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც ასევე მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში შემუშავდა ფართომასშტაბიანი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული მოდელი ასევე ეფუძნება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შესახებ მონაცემთა ანალიზს, რომელიც განხორციელდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის №25/ნ ბრძანება), რომლებიც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების როლს.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება მასწავლებელთა მომზადების სისტემის განვითარება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ახალი კადრების მომზადებისა და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისთვის.

- **თვისებრივი კვლევა დამსაქმებელთან ურთიერთობის და თანამშრომლობის შესახებ :**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რესპონდენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ თითოეული პროგრამის შემუშავება უშუალოდ დამსაქმებლის ჩართულობით ხდება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის შედინებას.

პროფესიული სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ერთვებიან მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. გარკვეულ შემთხვევებში პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი სწორედ საკრებულო და მერია შეიძლება იყოს. ხშირად ისინი არიან შუამავალნი ბიზნესსა და პროფესიულ სასწავლებელს შორის, მათ უკეთ იციან რომელი პროფესიის წარმომადგენლების დეფიციტია რაიონში.

კვლევის შედეგებში გამოჩნდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ერთვებიან პროფესიული სასწავლებლების მიერ დაგეგმილ აქტივობებში, ასევე ეპატიჟებიან კოლეჯის სტუდენტებს მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე და ეწევიან პროფესიული სასწავლებლების პოპულარიზაციას, ცდილობენ პსდ-ების ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას.

დამსაქმებლები - გამოკითხულთა ნაწილმა დააფიქსირა აქტიური თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯებთან, რამდენიმე მათგანს ქონდა დუალურ პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები - აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ დამსაქმებლებისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შესახებ. ინფორმაცია, რაც მათ აქვთ, ოფიციალურ ხასიათს არ ატარებ, არ ეყრდნობა კვლევას ან მოკვლევას. მათი აზრით აუცილებლად უნდა კეთდებოდეს სტატისტიკა,

რათა გამოიკვეთოს დამსაქმებელთა საჭიროებები და მუნიციპალიტეტი იყოს მათი და სტუდენტების დამხმარე/შუამავალი.

სტუდენტები - გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ კოლეჯი არის ჩართული კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებაში, ეწყობა შეხვედრები დამსაქმებლებთან, ასევე კოლეჯი უშუალოდ ხელმძღვანელობს პრაქტიკას იმ დაწესებულებებში სადაც სამომავლოდ კოლეჯის კურსდამთავრებულს ექნება დასაქმების შესაძლებლობა. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების გადამზადებას დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების კუთხით. ასევე აღინიშნა, რომ კოლეჯებს აქვთ ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან, რომლებიც მომავალში კურსდამთავრებულების დამსაქმებლები ხდებიან.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში კოლეჯების, დამსაქმებლების, მუნიციპალიტეტებისა და სტუდენტების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ვხვდებით ჩანაწერებს:

შრომის ბაზრის ყველა ინდიკატორი გვიჩვენებს ახალგაზრდების რთულ გადასვლას განათლებიდან დასაქმებაზე, რაც ხელს უწყობს უმუშევრობას ან უმოქმედობას (ე.წ. NEET). განათლებიდან სამუშაოზე გადასვლის მხარდამჭერი ღონისძიებები შეზღუდულია, მათ შორის კარიერული კონსულტაცია. საერთო ჯამში სამუშაოს კომპეტენტური ძიებისა და დამსაქმებლებთან მოლაპარაკების უნარები ხშირად მწირია; ახალგაზრდობა არასაკმარისად არის ინფორმირებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ.

პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ/გააანალიზონ ადგილობრივი თუ რეგიონული ბაზრის საჭიროებები და ამის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროგრამის განხორციელების თაობაზე. მნიშვნელოვანია დაწესებულებების შესაძლებლობები გაძლიერება კვლევის მიმართულებით, რათა შეძლონ სანდო კვლევების ჩატარება ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივ დამსაქმებლებთან და სექტორულ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროფესიული განათლების მიმართ სტერეოტიპების შემცირების მიზნით გაძლიერდება თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითმმართველობებსა და კერძო სექტორს შორის. გაიზრდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მასშტაბები, ინტენსიური გახდება სკოლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, კერძო სექტორს, სექტორულ ასოციაციებს შორის სისტემატური და სტრუქტურული თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას.

❖ კვლევის შედეგები კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების დიდი ნაწილი თვლის, რომ დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პირდაპირ კავშირშია კოლეჯების მიერ მომზადებულ კვალიფიციურ კადრთან. მათი თქმით, კოლეჯების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი ბევრად აღემატება საქართველოში ზოგადად დასაქმებული მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს. კოლეჯების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი მსურველებს აწვდიან პროფესიებს, რომელთა დაუფლების შემდეგაც დასაქმების მაჩვენებელი თითქმის 100% უტოლდება.

დამსაქმებელთან კომუნიკაციისთვის პროფესიული სასწავლებლები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სადემონსტრაციო პრეზენტაციები, ასევე დუალური პროგრამები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები დამსაქმებელთან გადიან პრაქტიკულ კურსს და ხშირ შემთხვევაში სწავლის დასრულების შემდეგ რჩებიან კომპანიაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა დაწესებულება აღრიცხავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს. ამ საქმით ძირითადად კოლეჯს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისია დაკავებული. აქვე

მოიაზრება თვითდასაქმებულებიც, რადგან ზოგიერთი პროგრამა სწორედ თვითდასაქმებას გულისხმობს.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია დამსაქმებლების შესახებ, რომელთაც შრომის ბაზარზე მოიძიეს კვალიფიციური კადრი.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ვხვდებით ჩანაწერს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების (SDG) მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მიღწევისათვის, საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ 2030 წლისათვის გაიზარდოს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის.

- **პროფესიული სასწავლებლების პოპულარიზაციის შესახებ**

კვლევაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცოდა იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლებულის მიღების კუთხით, რამდენიმე მათგანს პირადად ქონდა შეხება კახეთის რეგიონში არსებულ კოლეჯებთან და ასევე სხვა რეგიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებთან, იცნობდნენ მათ ინფრასტრუქტურას და განათლების მიღების შესაძლებლობებს.

დამსაქმებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პრობლემა რაც დღემდე აქვს პროფესიულ კოლეჯს, სწორედ მისი ნაკლები პოპულარობაა. დღემდე ითვლება, რომ პროფესიულ კოლეჯში აბარებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოახერხეს სწავლა. ამას ხელს უწყობს წარსული გამოცდილება და პროფესიული კოლეჯების ნაკლები აქტიურობა სასკოლო დონეზე პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით.

დამსაქმებლების ნაწილი მზად არის ჩაერთოს კონკრეტული პროფესიების პოპულარიზაციაში. დამსაქმებლები თვლიან, რომ ამ საკითხში უნდა იაქტიურონ

კოლეჯებმა. მათი აზრით საჭიროა ყველგან ისმოდეს კოლეჯის ხმა, იყოს ხშირი რეკლამები, საზოგადოებამ გაიგოს წარმატებული მაგალითების შესახებ.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს მუნიციპალიტეტში არსებული დამსაქმებლებისთვის, სადაც კოლეჯის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს იწვევენ. ასევე ორგანიზებას უწევენ საინფორმაციო კამპანიებს, არიგებენ ბუკლეტებს, აწყობენ შეხვედრებს სოფლებში კოლეჯების პოპულარიზაციის მიზნით.

როგორც კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია მოცულობითი უნდა გახდეს, რაშიც წვლილი უნდა შეიტანოს თვითმმართველობამ, პოპულარიზაცია უნდა იყოს არა ერთჯერადი საინფორმაციოა კამპანია, არამედ ღონისძიებების პაკეტი. პოპულარიზაცია იქნება, დასაქმების ხელშეწყობა, ახალი პროფესიების და მიმართულებების სტიმულირება.

პროფესიული სასწავლო დაწესებულებების სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში ჩართულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

ფოკუს-ჯგუფის წევრების უმრავლესობის აზრით პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ხდება მხოლოდ კოლეჯების მიერ სოციალური ქსელების და სხვადასხვა ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენებით. ისინი ასევე აწყობენ შეხვედრებს სკოლებში, რათა ინფორმაცია სკოლის მოსწავლეებამდე მიიტანონ.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის შესახებ ვხვდებით ჩანაწერებს:

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მისი მოდერნიზება დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ერთ-ერთი საუკეთესო გზაა

პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად. საინტერესო მოდულები და საგანმანათლებლო პროგრამები, მოქნილი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიმზიდველობის გაუმჯობესების ფაქტორებად იქნება გამოყენებული. სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდას.

ამ მიმართულებით მიღწეული ცვლილების მიუხედავად მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ინოვაციური და მრავალფეროვანი ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით მოხდება წარმატებული მაგალითების მეტად პოპულარიზება;

პოპულარიზაციის კამპანიები გააქტიურდება განსაკუთრებით სკოლებში, და არა მხოლოდ მომავალ აპლიკანტებთან, არამედ მშობლებთან/მეურვეებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. ხშირად მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიმართ, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეების საგანმანათლებლო არჩევანზე.

პროფესიული განათლების მიმართ სტერეოტიპების შემცირების მიზნით გაძლიერდება თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითმმართველობებსა და კერძო სექტორს შორის. გაიზრდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მასშტაბები, ინტენსიური გახდება სკოლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, კერძო სექტორს, სექტორულ ასოციაციებს შორის სისტემატური და სტრუქტურული თანამშრომლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას.

5. პროფესიული განათლების წინაშე მდგარი გამოწვევები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული გამოწვევები, რის წინაშეც დგას პროფესიული განათლება კახეთის რეგიონში. ეს გამოწვევები დიდ წილად

თანხვედრაშია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში აღწერილ გამოწვევებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვალით დანახული გამოწვევები:

- სტუდენტების ეკონომიკური სიდუხჭირე, რის გამოც ვერ ახერხებენ ტრანსპორტირებას, ეს კი უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესზე დასწრების მაჩვენებელზე და ხშირ შემთხვევაში სწავლის მიტოვების მიზეზიც ხდება.

- გამოწვევად სახელდება პროფესიული სასწავლებლების გეოგრაფიული მდებარეობა. დაწესებულებები ყველა მუნიციპალიტეტში არ არის, პროფესიული სასწავლებლების პოტენციური სტუდენტები ხშირად ამის გამო ამბობენ უარს პროფესიული განათლების მიღებაზე, რადგან ბევრ რეგიონში/რაიონში ტრანსპორტირება საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

- გამოწვევად სახელდება ქალების/გოგონების ჩართულობა პროფესიულ განათლებაში. ქალები, გენდერული ნორმებიდან გამომდინარე, მცირეწლოვანი შვილების ან ოჯახური პრობლემების გამო ვერ ახერხებენ პროფესიულ განათლებაში ჩართვას, ან აქვთ დასწრების დაბალი მაჩვენებელი.

- კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სასურველია უფრო ხშირი და გამართული კომუნიკაცია თვითმართველობასთან, რათა გამოიკვეთოს თვითმმართველობის როლი დამსაქმებელსა და პროფესიულ კოლეჯს შორის კომუნიკაციის პროცესში. დასაქმების ხელშეწყობა თვითმართველობის პრიორიტეტად უნდა იქცეს; ასევე სასურველია, ინიციატივას იჩენდეს

კურსდამთავრებულთა მეწარმეობის ხელშეწყობის საკითხებთან მიმართებაში.

ბიზნესის სექტორის წარმომადგენლების თვალით დანახული გამოწვევები:

- ბიზნესის წარმომადგენლები თვლიან, რომ არასაკმარისი კომუნიკაცია აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ეს პრობლემა ორმხრივია და საჭიროებს მეტ მონდომებას და თანამშრომლობის გაღრმავებას.

- ბიზნესის წარმომადგენლების ნაწილი პსდ-ებთან თანამშრომლობს დუალური პროგრამის ფარგლებში. ისინი თვლიან, რომ კოლეჯის მიერ მიცემული ცოდნა არ არის საკმარისი მათ კომპანიებში მუშაობის დასაწყებად, მაგრამ კოლეჯები ხშირად არ ითვალისწინებენ მათ შეხედულებებს. სანამ ეს გამოწვევა იარსებებს, დუალური პროგრამა ნაკლებად ეფექტური იქნება. ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ სასურველია, კოლეჯმა მეტი პასუხისმგებლობა აიღოს სამუშაო ადგილას სტუდენტების მხრიდან გარკვეული ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში.
- ბიზნესის წარმომადგენლების აზრით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ბაზრის კვლევის განახლება, რაზეც თავისთავად არის დამოკიდებული შესაბამისი მოკლევადიანი კურსების არსებობა. დამსაქმებლებს უჭირთ მოიძიონ კვალიფიციური კადრი სხვადასხვა სფეროში, რაც აზარალებს ბიზნესს.
- კვლევის შედეგებში დასახელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების პრობლემა. გამოწვევას წარმოადგენს ბიზნეს სექტორის არასათანადო სამუშაო სივრცე და

მოუმზადებელი პერსონალი, რომელიც შეძლებს სსსმ პირებთან მუშაობას.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თვალით დანახული გამოწვევები:

- სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საერთო საცხოვრებლის არარსებობა არის სერიოზული გამოწვევა პროფესიული სასწავლებლის პოტენციური და არსებული სტუდენტებისათვის. ეს გამოწვევა ამძაფრებს ტრანსპორტირებისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემას, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის. მათი აზრით, ამ გამოწვევის დაძლევა კიდევ უფრო ხელმისაწვდომს და პოპულარულს გახდის პროფესიულ განათლებას.
- პროფესიული განათლების დაბალ პრესტიჟს გამოწვევად მიიჩნევენ და პოპულარიზაციის აუცილებლობაზე საუბრობენ როგორც სტუდენტები, ასევე კვლევის მონაწილე ყველა მხარე.

ადგილობრივი თვითმართველობის თვალით დანახული გამოწვევები:

- თვითმმართველობის წარმომადგენლები თვლიან რომ განახლებული ბაზრის კვლევის არარსებობა არის სერიოზული გამოწვევა, კოლეჯმა სწორედ ის მიმართულებები უნდა შესთავაზოს დაინტერესებულ პირებს, რისი მოთხოვნაც არის რეგიონში.

6. რეკომენდაციები/გამოწვევების დაძლევის გზები

რეკომენდაცია N1 - ფსიქო-სოციალური სერვისების დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

რეკომენდაცია შემუშავდა კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი გამოწვევების დასაძლევად:

- ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული ტრანსპორტირების პრობლემები;

- საერთო საცხოვრებლის საჭიროება;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მუნიციპალიტეტებში;
- სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი ოჯახური პირობების გამო ქალების/გოგონების მხრიდან (მაგალითად: მცირეწლოვანი ბავშვები, საოჯახო საქმეები).

- ფსიქო-სოციალური სერვისების ამოქმედებისათვის რეკომენდირებულია:

- პსდ-ებში არსებობდეს სოციალური პაკეტები, რომლებიც გადაეცემათ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს. სასურველია, პაკეტი მოიაზრებდეს: კვების, ტრანსპორტირების, საცხოვრებლის, ინტერნეტის თანხით დახმარებას. ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საჭიროებების შემთხვევაში სტუდენტებს გაეწიოთ სათანადო მომსახურება - ფსიქო-კონსულტირება, განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება და ა.შ.

- საერთო საცხოვრებლების არსებობა ყველა კოლეჯში, დაეხმარება სტუდენტებს ისეთი გამოწვევების დაძლევაში, როგორებიცაა - ტრანსპორტირების პრობლემები (ტრანსპორტის არარსებობა, ან მათი შეუსაბამო გრაფიკი), ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული გამოწვევები, სოციალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და ა.შ.;

- ბავშვთა ოთახის არსებობა პსდ-ში, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტებს, რომლებსაც ყავთ მცირეწლოვანი შვილები. ეს შეამცირებს გოგონების/ქალების მხრიდან სწავლის მიტოვებისა და გაცდენის მაჩვენებელს;
- პსდ-ში სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კადრის არსებობა, რომელიც შეძლებს სწორად მოახდინოს სტუდენტების წინაშე მდგარი გამოწვევების აღმოჩენა და ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე მათთვის სათანადო სერვისების შეთავაზება. სერვისი შესაძლოა მოიაზრებდეს სოციალურ პაკეტებს, ფსიქო-კონსულტირებას, განმავითარებელ ტრენინგებს და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებში რეფერირებას.

- აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მთავარ აქტორად მოიაზრება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მხარდამჭერი იქნება პროფესიული უნარების სააგენტო და ადგილობრივი

მუნიციპალიტეტი. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში არსებული სახელწიფო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა.

რეკომენდაცია N2 კომუნიკაციის ქსელის გამართვა დაინტერესებულ მხარეებს შორის
რეკომენდაცია შემუშავდა კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი გამოწვევების დასაძლევად:

- კვლევის მონაწილე ყველა ჩართული მხარე ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციის პრობლემაზე: კოლეჯების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სასურველია უფრო ხშირი და გამართული კომუნიკაცია თვითმართველობასთან, რათა გამოიკვეთოს თვითმმართველობის როლი დამსაქმებელსა და პროფესიულ კოლეჯს შორის კომუნიკაციის პროცესში. ასევე სასურველია, ინიციატივას იჩენდეს კურსდამთავრებულთა მეწარმეობის ხელშეწყობის საკითხებთან მიმართებაში;

- ბიზნესის წარმომადგენლები თვლიან, რომ არასაკმარისი კომუნიკაცია აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

- ბიზნესის წარმომადგენლების ნაწილი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს დუალური პროგრამის ფარგლებში. ისინი თვლიან, რომ კოლეჯის მიერ მიცემული ცოდნა არ არის საკმარისი მათ კომპანიებში მუშაობის დასაწყებად. თუმცა, კოლეჯები ხშირად არ ითვალისწინებენ მათ შეხედულებებს.

რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივით შეიქმნას საკომუნიკაციო ქსელი, რომლის წევრებიც იქნებიან პსდ-ების, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და სასწავლებლების კურსდამთავრებულები.
რეკომენდირებულია ქსელში შემავალი სტრუქტურების წარმომადგენლები გარკვეული პერიოდულობით ხვდებოდნენ ერთმანეთს, აზიარებდნენ ინფორმაციას. მაგალითისათვის, დუალური განათლების საკითხებში გამოვლენილი გამოწვევების დაძლევა ცალსახად შესაძლებელი იქნება აღნიშნული ქსელის გამართულად ამოქმედების შემთხვევაში. ქსელის არსებობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი შესაძლოა იქნეს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროცესში.

რეკომენდაცია N3 მოკლევადიანი მომზადება გადამზადების კურსების შემუშავებისას შრომის ბაზრის კვლევის ტენდენციების გათვალისწინება

რეკომენდაცია შემუშავდა კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი გამოწვევის დასაძლევად:

- კვლევაში მონაწილე ბიზნესისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები საუბრობენ განახლებადი ბაზრის კვლევის აუცილებლობაზე. მათი თქმით, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსების შემუშავება, სწორედ ბაზრის კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს. ეს ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ერთის მხრივ დასაქმების, ხოლო მეორეს მხრივ საჭირო კადრების მოძიების პრობლემებსაც მოაგვარებს.

აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კარიერის მართვის სპეციალისტი მუდმივად ეცნობოდეს ინფორმაციას შრომის ბაზრის კვლევების შესახებ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ვებ. გვერდზე (worknet.gov.ge) და ასევე იძიებდეს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ. რეკომენდირებულია, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღნიშნული ინფორმაცია გაუზიაროს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და ბიზნესს სექტორს.
ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება საშუალებას მისცემს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ასევე ბიზნეს სექტორს, სწორად დაიგეგმოს და მაქსიმალური შედეგის მომცემი იყოს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

რეკომენდაცია N4 პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანიის გაძლიერება

რეკომენდაცია შემუშავდა კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი გამოწვევის დასაძლევად:

- მიუხედევად იმისა, რომ პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მისი პოპულარიზაცია წარმოადგენს, კვლევის მონაწილე მხარეთა უმრავლესობა (სტუდენტები, ბიზნესისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები) აღნიშნავს, რომ პროფესიულ განათლებას დაბალი პრესტიჟი აქვს. ეს კი მეტწილად საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობით აიხსნება.

ზემოთ აღნიშნული გამოწვევის დაძლევის გზად, სხვადასხვა კამპანიის მეთოდს მოვიაზრებთ; პოპულარიზაციის კამპანიაში მეტწილად დაინტერესებულ მხარეს კოლეჯი წარმოადგენს, აქედან გამომდინარე უფრო მოქნილი პოპულარიზაციის სისტემის ჩამოყალიბებაა სასურველი.
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა, სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან უფრო აქტიური თანამშრომლობა აწარმოონ, რაც მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სკოლებში შეხვედრებსა და კოლეჯებში ექსკურსიას მოიაზრებს. სასურველია კოლეჯმა მოამზადოს რამდენიმე ვიდეო კლიპი ადგილობრივი ტელევიზიისთვის. თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ახალგაზრდებში და ზოგადად მთელ თემში გაავრცელოს ინფორმაცია, ბუკლეტების დარიგების გზით.
სასურველია, კოლეჯმა აწარმოოს ღია კარის დღეები, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიიღებს დაინტერესებულ პირებს, გააცნობს სასწავლო გარემოსა და რესურსებს.

დასკვნა

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად თვალსაჩინოა, რომ კახეთის რეგიონში პროფესიული განათლების რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან კვლევის შედეგების შესაბამისობის ანალიზისას კი გამოჩნდა, რომ მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, კვლავ რჩება გამოწვევები პროფესიული განათლების სფეროში, რომელსაც საქართველომ უნდა უპასუხოს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის დაძლევასა და ძლიერი დასაქმების ბაზრის შექმნას.